**თემო ჯოჯუა**
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი; ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი*

# თბილისის (კალას) წმ. თომა მოციქულის (კვირაცხოვლის) ეკლესია
## (ტაძრის ადგილმდებარეობა და ისტორია)[1]

### 1. წმ. თომა მოციქულის (კვირაცხოვლის) ეკლესიის ადგილმდებარეობა

წმ. თომა მოციქულის ეკლესია, ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული მოსაზრების თანახმად, ძველი თბილისის ერთ-ერთი ცენტრალური ნაწილის, ისტორიული კალას ტერიტორიაზე, ე. წ. ზემო უბანში, ქალაქის ჩრდილოეთიდან მომზღუდავი კედლის შორიახლოს, კვირაცხოვლის ქუჩაზე მდებარეობდა, რომელსაც სახელი აქ აღმართული ტაძრის (კვირაცხოვლის) მიხედვით ჰქონდა შერქმეული [1, 24-25; 2, 593].

წმ. თომა მოციქულის ეკლესიის ადგილმდებარეობა საკმაოდ ზუსტად არის მითითებული რუსეთის იმპერიის სამხედრო მოხელის, კაპიტან ჩუიკოს მიერ შედგენილ ქალაქ თბილისის 1800 წლის გეგმაზე, სადაც ტაძარი 34-ე ნომრით არის აღნიშნული. გეგმაზე ჩანს, რომ

[1] 2011 წლის თებერვალში თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის ეპარქიის სოფელ მაღაროსკარის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის მიძინების ეკლესიის წინამძღვარმა, მღვდელმა კახაბერ მესხმა დახმარებისათვის მოგვმართა და გვთხოვა, მოგვეძიებინა მასალა თბილისის (კალას) წმ. თომა მოციქულის (კვირაცხოვლის) ეკლესიის ადგილმდებარეობისა და ისტორიის შესახებ. ჩვენ შეძლებისდაგვარად სრული სახით მოვუყარეთ თავი სხვადასხვა წერილობით ძეგლებსა თუ სამეცნიერო პუბლიკაციებში გაბნეულ ცნობებს წმ. თომა მოციქულის ეკლესიის შესახებ, ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი თვალსაზრისით დავამუშავეთ ეს არცთუ მდიდარი წერილობითი მასალა, შესრულებული სამუშაოების შედეგებს ერთგვარი სამეცნიერო გამოკვლევის სახე მივეცით და ეს გამოკვლევა 2011 წლის აპრილში მღვდელ კახაბერ მესხს გადავეცით. წინამდებარე ნაშრომი სწორედ ამ გამოკვლევის მცირედ გადაკეთებულ ვარიანტს წარმოადგენს.

თბილისის ჩრდილოეთი კედლის იმ მონაკვეთის პარალელურად, რომელიც ქალაქის შუა და ქვემო კარიბჭეებს[1] შორის არის მოქცეული, საკმაოდ მოკლე, დაახლოებით, 150-200 მეტრის სიგრძის ქუჩა მიემართებოდა, რომელიც ამაჟამინდელ შოთა ნიშნიანიძის (ყოფილი სინოდის, შემდგომში მილიციის („მილიცეისკაია"), ბოლოს კი ილია ნაკაშიძის) ქუჩას ემთხვევა. ხსენებულ ქუჩას მის, დაახლოებით, შუა წელზე, ჯერ სამხრეთისაკენ მიმართული, ხოლო შემდეგ აღმოსავლეთისაკენ შებრუნებული პატარა, დაახლოებით, 50 მეტრის სიგრძის ჩიხი გამოეყოფოდა, რომელიც ამჟამინდელ შოთა ნიშნიანიძის ჩიხს შეესაბამება. ამ ჩიხის კიდურა აღმოსავლეთი, დაახლოებით, 15-20 მეტრიანი მონაკვეთის სამხრეთით, გეგმაზე, სავარაუდოდ, ოთხკუთხა გალავნით მოზღუდული №34 ნაგებობაა აღნიშნული, რომელიც გეგმისათვის დართული რუსულენოვანი ექსპლიკაციის ტექსტში „წმ. თომა მოციქულის ქართულ ეკლესიად" არის სახელდებული: *„Грузинские церкви... 34. Святого апостола Фомы"* [1, 84, ჩანართი].

გარდა ამისა, ქალაქ თბილისის 1800 წლის გეგმაზე გარკვევით ჩანს ისიც, რომ №34 ნაგებობას ანუ წმ. თომა მოციქულის ეკლესიას სამხრეთით დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ მიმართული, დაახლოებით, ამჟამინდელი შოთა ნიშნიანიძის ქუჩის პარალელურად მიმავალი კიდევ ერთი ქუჩა ესაზღვრებოდა [1, ჩანართი]. ეს ქუჩა ამჟამინდელ ილია და ნინო ნაკაშიძეების (ყოფილი ავლევის) ქუჩას ემთხვევა, რომელსაც, აქ მდებარე წმ. თომა მოციქულის (კვირაცხოვლის) ეკლესიის სახელწოდებიდან გამომდინარე, თავდაპირველად, როგორც უკვე აღვნიშნეთ ზემოთ, კვირაცხოვლის, ხოლო მოგვიანებით, 1922 წლამდე, თომას ქუჩა, იგივე „ფომინსკაია" ან „ფომინაია" ეწოდებოდა [1, 24-25; 3, 196].

ამრიგად, კაპიტან ჩუიკოს მიერ შედგენილი ქალაქ თბილისის 1800 წლის გეგმისა და მისი რუსულენოვანი ექსპლიკაციების შესწავლის საფუძველზე, დგინდება, რომ წმ. თომა მოციქულის (კვირაცხოვლის) ეკლესია მდებარეობდა, ერთი მხრივ, ამჟამინდელი შოთა ნიშნიანიძის ჩიხის კიდურა აღმოსავლეთ, დახლოებით, 15-20 მეტრის სიგრძის მონაკვეთსა და მეორე მხრივ, ამჟამინდელი ილია და ნინო ნაკაშიძეების ქუჩის შესაბამის მონაკვეთს შორის ანუ დაახლოებით, იმ ადგილას, სადაც დღეს №191 საბავშვო ბაგა-ბაღის შენობა (ილია და ნინო ნაკაშიძეების ქუჩა, №26), ბაგა-ბაღის კუთვნილი ეზო და ამ

[1] თბილისის შუა კარიბჭე (იგივე დიღმისკარი) მდებარეობდა ამჟამინდელი ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ალექსანდრე პუშკინის ქუჩების შესაყარზე, ხოლო ქვემო კარიბჭე (იგივე წყლისკარი, დაბლაკარი) – ამავე ბარათაშვილისა და იოანე შავთელის ქუჩების კუთხეში [1, 5].

ეზოს ჩრდილოეთით მდებარე პატარა გამწვანებული ზონაა განთავსებული.

მიღებული დასკვნის მართებულობას, როგორც ჩანს, მთლიანად ადასტურებს აღნიშნული ტერიტორიის ვიზუალური დათვალიერების შედეგებიც. აქ, ბაგა-ბაღის ეზოს ჩრდილოეთ ნაწილში, რომელიც ამჟამინდელი შოთა ნიშნიანიძის ჩიხის დონიდან, დაახლოებით, 2 მეტრით უფრო ქვემოთ მდებარეობს, თვალნათლივ განირჩევა აგურითა და რიყის ქვით ამოყვანილი კედლის რამდენიმე მეტრის სიგრძის მონაკვეთი, რომელიც, სავარაუდოდ, წმ. თომა მოციქულის ეკლესიის ან ტაძრის მახლობლად მდებარე რომელიმე სხვა ნაგებობის ნაშთს უნდა წარმოადგენდეს[1].

---

[1] წინამდებარე ნაშრომის თავდაპირველ, მღვდელი კახაბერ მესხისათვის გადაცემულ ვარიანტზე მუშაობა უკვე დასრულებული გვქონდა, როცა ჟურნალ „საქართველოს სიძველენის" 2010 წელს დაბეჭდილ მე-14 ნომერში გავეცანით მაია მანიას სტატიას „ავლევის შესახვევის ძველი სახლი და მისი მიკროუბანი". მკვლევარი დასახელებულ პუბლიკაციაში საგანგებოდ ეხება წმ. თომა მოციქულის ეკლესიის ადგილმდებარეობის საკითხს. იგი №191 საბავშვო ბაგა-ბაღის კუთვნილი ეზოს ჩრდილოეთ ნაწილში გამოვლენილი კედლის მონაკვეთს, აქ გამოყენებული სამშენებლო მასალისა და კედლის წყობის ხასიათის გათვალისწინებით, XVIII საუკუნით ათარიღებს და მას კვირაცხოვლის ანუ წმ. თომა მოციქულის ეკლესიის ფრაგმენტად მიიჩნევს: „აღსანიშნავია და ფრიად საყურადღებო, რომ კვირაცხოვლის ეკლესიის საძირკვლის ნაწილმა დღევანდლამდე მოაღწია. ავლევისა და ნიშნიანიძის ქუჩებს შორის მოქცეული განაშენიანების ვიწრო ზოლში, XIX საუკუნის ძველ სახლებს შორის, საბავშვო ბაღის ახალი (1980-იანი წწ.) შენობა დგას. შენობის ეზო ორ დონეზე – ქუჩის და ქუჩის ნიშნულზე ორიოდე მეტრით დაბლა მოთავსებულ სიბრტყეზეა გაშლილი. ეზოს ქვედა ნიშნულის შუაგულიდან ამოზრდილია ძველი ნაგებობის კუთხე, ამოყვანილი ძველი აგურისა და რიყის ქვის მონაცვლეობითი წყობით. იგი ზედა მხარეს ახალი აგურის წყობით გრძელდება, ქვედა მხრიდან კი ბაზალტის ფილებით შემოსილ ცოკოლს ეყრდნობა. ჩვენს წინაშეა ძველი აგურისა და რიყის ქვის მონაცვლეობით (ქვევიდან ზევით – ორი რიგი რიყის ქვის, ორი რიგი ძველი აგურის, ერთი რიგი რიყის ქვის, ერთი რიგი აგურის და ერთი რიგი რიყის ქვის) ნაგები კედლის წყობის ფრაგმენტი... ეს, კი XVIII საუკუნეში ამ ადგილას აშენებული კვირაცხოვლის ეკლესიის საძირკველი უნდა იყოს. კედლის ამ ფრაგმენტის თუნდაც თბილისის სხვა უბანში, ისანში, დედოფალ დარეჯანის სასახლის კომპლექსის ტერიტორიაზე არსებულ კედლებთან შედარება მათ შორის სიახლოვესა და მსგავსებას ამჟღავნებს. კვირაცხოვლის ეკლესიის შემორჩენილი კედელი ანალოგიას საკუთრივ თბილისის და იმავე ისნის ქუჩათა ქსელში შემონახულ, ძველ, სავარაუდოდ XVIII საუკუნის, საცხოვრებელი სახლების ზურგებთანაც პოულობს. თვალშისაცემია ერთი და იგივე სამშენებლო მასალა – ძველი აგური და რიყის (და არა ფლეთილი ან თლილი ან ნატეხი!) ქვა და წყობის ხასიათი. კვირაცხოვლის ეკლესიის ზუსტი ადგილსამყოფელის დადგენა, არა მხოლოდ სიძველის გამოვლენის თვალსაზრისითაა მნიშვნელოვანი. კვირაცხოვლის ეკ-

## 2. წმ. თომა მოციქულის (კვირაცხოვლის) ეკლესიის ისტორია

წმ. თომა მოციქულის ეკლესიის დაარსების დროისა და ვითარების შესახებ რაიმე წერილობითი მითითება, ჯერჯერობით, არ მოგვეპოვება. დღეისათვის, პრაქტიკულად, არაფერი ვიცით ტაძრის XVIII საუკუნემდელი ისტორიის შესახებაც.

ამ ხარვეზს მხოლოდ ნაწილობრივ ავსებს ქართველი ისტორიკოსისა და სიძველეთმცოდნის პლატონ იოსელიანის (1809-1875 წწ.) მიერ 1866 წელს გამოქვეყნებულ წიგნში „Описаніе древностей города Тифлиса“ შეტანილი ცნობა, რომელიც გვაუწყებს, რომ წმ. თომა მოციქულის ძველი ეკლესია მონღოლმა სარდალმა თემურლენგმა (1336-1405 წწ.) დაანგრია, რომელმაც, ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული მოსაზრების თანახმად, ქალაქი თბილისი 1386 წელს ააოხრა: *„Церковь Апостола Фомы (კვრა-ცხოველი). На развалинахъ древней, разрушенной при Тимуре...“* [5, 58; 6, 675-680].

სამწუხაროდ, პლატონ იოსელიანი თავის 1866 წლის პუბლიკაციაში არ აკონკრეტებს, თუ, სახელდობრ, რომელ წერილობით ძეგლსა თუ ზეპირ გადმოცემაში მიაკვლია აღნიშნულ ცნობას. შესაბამისად, ჩვენ, ამ ეტაპზე, ვერც ცალსახად გავიზიარებთ და ვერც ხელაღებით უარვყოფთ წმ. თომა მოციქულის ძველი ეკლესიის 1386 წელს, თემურლენგის მიერ დანგრევის ფაქტს[1].

წმ. თომა მოციქულის ეკლესიის XVIII საუკუნის დასაწყისის ისტორიის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის პლატონ იოსელიანის მამის, კარის წმ. გიორგის ეკლესიის დეკანოზის ეგნატე იოსელიანის (1767-1844 წწ.) მიერ 1837 წელს შედგენილი თხზულება, პირობითი სახელწოდებით „თბილისის ეკლესიათა აღწერა“[2]. ამ თხზულების

---

ლესიის ზუსტი ადგილის მოძებნა შუასაუკუნეების თბილისის ურბანული ქსოვილის შესწავლისა და კვლევის თვალსაზრისითაც არის საყურადღებო. კვირაცხოვლის ეკლესია, შესაძლოა ზემო კალას ამ ნაწილში მდებარე სურბნიშნის ეკლესიასთან ერთად, თბილისის ძველ რუკებსა და გეგმებზე მუშაობისას ერთგვარ ორიენტირად განვიხილოთ“ [4, 207-208].

[1] ჩვენი დაკვირვებით, აღნიშნული საკითხის საბოლოოდ გარკვევისა და ზოგადად, წმ. თომას ეკლესიის XVIII საუკუნემდელი ისტორიის რეკონსტრუირებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ტაძრის ნაშთებისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის არქეოლოგიურ შესწავლას, რისი განხორციელებაც, სამეცნიერო თვალსაზრისით, უაღრესად საჭირო და მნიშვნელოვან საქმეს წარმოადგენს.

[2] დასახელებული თხზულების ტექსტში მისი ავტორის ვინაობა მითითებული არ არის [7, 83-96. შდრ.: 8, 255]. მიუხედავად ამისა, ეს ბუნდოვანი საკითხი სავსებით დამაჯერებლად არის გარკვეული ცაცა ჭანკიევის მიერ 1963 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „ეგნატე იოსელიანის ლიტერატურული მემკვიდ-

თანახმად, 1703 წელს ქართლის მთავარეპისკოპოსმა ქრისტეფორე ამილახვარმა წმ. თომას ძველი ეკლესიის ნანგრევებზე ახალი ტაძარი ააგო და ის მცხეთის სამთავროს ტაძარში მოსაყდრე ქართლის მთავარეპისკოპოსთა მეტოქად („ფოდვერიად") ანუ დროებით სადგომად აქცია: *„ტფილისსავე შინა არის პატარა ეკკლესია წმინდისა მოციქულისა თომას სახელსა ზედა... აღშენებული მთავარეპისკოპოსისა*

---

რეობის შესწავლისათვის", სადაც დადგენილია, რომ განსახილავი თხზულება ეგნატე იოსელიანის მიერ იყო შედგენილი [9, 57-66]. ყოველივე აღნიშნულის შემდეგ ერთგვარ გაკვირვებას იწვევს 2002 წელს დაბეჭდილ ენციკლოპედია „თბილისში" შეტანილი სტატია „კვირაცხოვლის წმინდა თომას ეკლესია", სადაც ეგნატე იოსელიანის მიერ 1837 წელს შედგენილი და ლეონ მელიქსეთ-ბეგის მიერ 1923 წელს გამოქვეყნებული თხზულება „დ. კარიჭაშვილის კატალოგის" სახელით არის მოხსენიებული: „ეკლესია ხელახლა აუშენებია მთავარეპისკოპოს ქრისტეფორეს... დ. კარიჭაშვილის კატალოგით – 1703: *„ტფილისსავე შინა არის პატარა ეკკლესია წმიდისა მოციქულისა თომას სახელსა ზედა, ქვით-კირისა, უგუმბათო, აღშენებული მთავარეპისკოპოსისა ქრისტეფორე ამილახუაროვისაგან მეტოქედ ანუ ფოდვერიად თკსად წელსა 1703-სა. ამას შინა არის ერთი მღუდელი"* [2, 593]. როგორც ვხედავთ, ციტირებული საენციკლოპედიო სტატიიდან ავტომატურად გამომდინარეობს მცდარი აზრი, რომ განსახილავი თხზულების ტექსტი დავით კარიჭაშვილის „კატალოგშია" შეტანილი. ამ მცდარ აზრს კიდევ უფრო ამყარებს დასახელებულ ენციკლოპედიაში გამოქვეყნებული კიდევ ერთი სტატია „კარიჭაშვილი", სადაც, აგრეთვე, შეცდომით არის აღნიშნული, რომ დავით კარიჭაშვილის მიერ 1905 წელს გამოქვეყნებული „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნთსაცავის კატალოგი" „შეიცავს მნიშვნელოვან ცნობებს თბილისში მდებარე ეკლესია-მონასტრების შესახებ" [10, 587]. ხსენებული ორი საენციკლოპედიო სტატიისა და ამ სტატიებში დაშვებული შეცდომების საპასუხოდ, შევნიშნავთ, რომ დავით კარიჭაშვილის მიერ 1905 წელს გამოქვეყნებულ კატალოგში ჩვენთვის საინტერესო თხზულების შესახებ მხოლოდ რამდენიმე მშრალი ტექნიკური მონაცემია მოტანილი: „161. მონასტრები და ეკლესიები ტფილისსა და მის მიდამოებში. 35,8 X 22,1. გვ. №3034" [11, 118]. შესაბამისად, საკუთრივ კატალოგი, საენციკლოპედიო სტატიების მითითების საპირისპიროდ, თბილისის ეკლესია-მონასტრებისა და მათ შორის, წმ. თომა მოციქულის ტაძრის თაობაზე არანაირ ცნობებს, არც მნიშვნელოვანს და არც უმნიშვნელოს, არ შეიცავს. ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, საენციკლოპედიო სტატიებში ნახსენები თუ ციტირებული ცნობები, სინამდვილეში, მოტანილია არა დავით კარიჭაშვილის კატალოგიდან, როგორც ეს საენციკლოპედიო სტატიებშია აღნიშნული, არამედ ამ კატალოგში დასახელებული ერთ-ერთი თხზულებიდან, რომელიც, ცაცა ჭანკიევის დაკვირვებით, ეგნატე იოსელიანის მიერაა შედგენილი და რომლის ტექსტიც, მხოლოდ ერთხელ, 1923 წელს, ლეონ მელიქსეთ-ბეგის მიერ არის გამოქვეყნებული (ამ თხზულების დედანი დღეისათვის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ინახება და ქართული ხელნაწერი წიგნების S კოლექციაში 3034-ე ნომრით არის რეგისტრირებული [8, 255]).

*ქრისტეფორე ამილახუაროვისაგან მეტოქედ ანუ ფოდვერიად თჳსად წელსა 1703-სა"* [7, 84][1].

ქრისტეფორე ამილახვრის მიერ ახალი ეკლესიის მშენებლობის ამბავი დღეისათვის დაკარგულ საქტიტორო ლაპიდარულ წარწერაში ყოფილა გადმოცემული, რომელიც 1866 წელს ჯერ კიდევ ტაძრის ერთ-ერთ კედელში იყო ჩადგმული და რომელიც პლატონ იოსელიანს საკუთარი თვალით ჰქონდა ნანახი: *„Церковь Апостола Фомы... На развалинахъ древней, разрушенной при Тимуре... построена настоящая малая церковь архіепископомъ (მთავარ-ეპისკოპოსი) Грузинскимъ Христофоромъ* (*Онъ быль изъ роду князей Амилахваровихъ). Это видно изъ надписи на камне, вложенномъ въ стену церкви"* [5, 58-59][2].

მთავარეპისკოპოს ქრისტეფორეს მიერ აგებული წმ. თომა მოციქულის ახალი ტაძარი, ეგნატე იოსელიანის ცნობით, ქვითკირით

---

[1] ქართლის მთავარეპისკოპოსის ქრისტეფორე ამილახვარის მოღვაწეობის პირველი პერიოდის (XVII ს.) ქრონოლოგიასთან დაკავშირებული საკითხები საფუძვლიანადაა შესწავლილი გურამ ჯანდიერის მიერ 1971 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „XVII საუკუნის აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული ქრონოლოგიის საკითხისათვის (ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი)". აღნიშნულ პუბლიკაციაში დადგენილია, რომ ქრისტეფორე ქართლის მთავარეპისკოპოსის წოდებით 1690, 1691, 1692, 1693, 1696 და 1698 წლებით დათარიღებული შვიდი ქართული ისტორიული დოკუმენტის ტექსტშია მოხსენიებული. პარალელურად ამისა, გურამ ჯანდიერის მიერ გარკვეულია ისიც, რომ 1697 წლის ერთი დოკუმენტის ტექსტში ქართლის მთავარეპისკოპოსად, ქრისტეფორეს ნაცვლად, ევდემოზ რატიშვილია მოხსენიებული. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მკვლევარი ასკვნის, რომ 1690-1696 წლებში ქართლის მთავარეპისკოპოსობას ქრისტეფორე ამილახვარი ფლობდა. 1697 წელს ქრისტეფორემ ქართლის მთავარეპისკოპოსის თანამდებობა დაკარგა და მის მაგივრად, ხსენებული საეპისკოპოსო კათედრა ევდემოზ რატიშვილმა დაიკავა, რომელიც მანამდე ჯერ ურბნელი (1666-1674 წწ.), ხოლო შემდეგ, მანგლელი (1676-1683 წწ.) ეპისკოპოსის თანამდებობას ფლობდა. ევდემოზის მთავარეპისკოპოსობა დიდხანს არ გაგრძელებულა და 1698 წელს ქრისტეფორე ამილახვარმა ქართლის მთავარეპისკოპოსობა უკან დაიბრუნა [12, 334, 341-342, 344, 352-353].

[2] აქვე, ხაზგასმით აღვნიშნავთ იმ ფაქტს, რომ პლატონ იოსელიანი წმ. თომა მოციქულის ახალი ეკლესიის მშენებლობის თარიღს, ეგნატე იოსელიანისაგან განსხვავებით, არა 1703 წლით, არამედ XVII საუკუნის მიწურულით განსაზღვრავს: *„Церковь Апостола Фомы... въ конце XVII века построена архіепископомъ Грузинскимъ Христофоромъ"* [5, 58-59]. ჩვენ ამ ორი თარიღიდან უპირატესობას, პირობითად, 1703 წელს ვაძლევთ. მართალია, ეგნატე იოსელიანი იმ წერილობით ძეგლს არ ასახელებს, სადაც მან დასახელებულ თარიღს მიაკვლია, მაგრამ, ამ ქრონოლოგიური მონაცემის კონკრეტული ხასიათი (სახელდობრ 1703 წელი და არა, ვთქვათ, XVIII საუკუნის დასაწყისი), გვაფიქრებინებს, რომ ამ თარიღს რაიმე მყარი წერილობითი საფუძველი ჰქონდა.

ნაგები, მცირე ზომის უგუმბათო ეკლესია იყო: *„ტფილისსავე შინა არის პატარა ეკკლესია წმიდისა მოციქულისა თომას სახელსა ზედა, ქვით-კირისა, უგუმბათო“* [7, 84]. წმ. თომას ეკლესიას მცირე ზომის ტაძრად მოიხსენიებს პლატონ იოსელიანიც: *„Церковь Апостола Фомы... построена настоящая малая церковь архіепископомъ... Грузинскимъ Христофоромъ“* [5, 58-59][1].

ამავე პლატონ იოსელიანის ცნობით, წმ. თომა მოციქულის ეკლესიასთან, როგორც ჩანს, საერთო გალავნით მოზღუდულ ტერიტორიაზე, სავარაუდოდ, ტაძრის თანადროულად აშენებული, გემოვნებით ნაგები, ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი მდებარეობდა, რომელიც ქართლის მთავარეპისკოპოსთა დროებით რეზიდენციას წარმოადგენდა: *„Церковь эта съ домомъ, была подворьемъ архіепископовъ Самтаврійскихъ“; „И такъ изъ Домовъ, во вкусе Персидскомъ лучшими двухъ-этажными, существовали при последнихъ царяхъ следующіе... в) Домъ Самтаврскихъ архіепископовъ (მთავარ-ეპისკოპოსი) как их подворье“* [5, 270; 7, 84].

სამწუხაროდ, ჩვენ, ჯერჯერობით, სხვა ბევრი არაფერის თქმა არ შეგვიძლია წმ. თომა მოციქულის ეკლესიის XVIII საუკუნის ისტორიის შესახებ. ვიცით მხოლოდ, რომ ტაძარს ამ პერიოდში, მისი მეპატრონეების, ქართლის მთავარეპისკოპოსების ტიტულიდან გამომდინარე, „მთავარეპისკოპოსის საყდარი“ ეწოდებოდა. მართლაც, წმ. თომა მოციქულის ეკლესია ქართლ-კახეთის სამეფოს მდივანბეგის იესე ოსეს ძე ბარათაშვილის (1728-1786 წწ.) მიერ 1768-1786 წლებში შედგენილ „ცხოვრება-ანდერძში“ სწორედ ამ სახელით არის მოხსენი-

---

[1] პლატონ იოსელიანის ცნობით, წმ. თომა მოციქულის ახლადაგებულ ეკლესიას იმდროინდელი თბილისის ერთ-ერთ ქალაქისპირა სოფელში, კუკიაში მდებარე წმ. თომა მოციქულის (კვირაცხოვლის) პატარა ეკლესია ექვემდებარებოდა („მასზე მიწერილი იყო“), რომელიც, თავის მხრივ, XVII საუკუნეში, ირანის შაჰის აბას I-ის (1587-1629 წწ.) შემოსევების (1614, 1616, 1617, წწ.) დროს იყო დარბეული და გაპარტახებული: *„К нему же была приписана и другая малая, существовавшая въ Кукахъ до 1622 (?) года т. е. до разоренія Тифлиса Шахъ-Абасомъ великимъ* (*Она именуется ныне Русскимъ названіемъ: красная гора. Торжество празднованія во кругъ развалинъ, совершается въ день Антипасхи)“* [5, 59]. პლატონ იოსელიანის მიერ ნახსენებ წითელ, იგივე კვირაცხოვლის გორაზე („красная гора“) აღმართული წმ. თომა მოციქულის (კვირაცხოვლის) ეკლესია, თეიმურაზ ბერიძის მართებული დაკვირვებით, მდებარეობდა არა ძველი კუკიის, არამედ ჩუღურეთის ტერიტორიაზე, „დიდხევის მარცხენა ნაპირზე, რკინიგზის ხაზთან, შემაღლებულ ადგილზე (დღეს მას დაკარგული აქვს ეკლესიის სახე, იგი გადაკეთებულია საცხოვრებელ შენობად)“ [13, 163. შდრ.: 14, 152].

ებული: *„აწ შემოკლებით აღვთვალო ჩემი მამული: ...სასახლე მთავარეპისკოპოსის საყდარსა და ქსნის ერისთავის სასახლეს შუა, აბაშიძეებისაგან მოსყიდული“* [15, 51-52][1].

1803 წელს თბილელმა მიტროპოლიტმა არსენ ბაგრატიონმა (1794-1810 წწ.) წმ. თომა მოციქულის ეკლესიაში ქართლისა (სამთავროსა) და წილკნის მთავარეპისკოპოსი იოანე ქარუმიძე (1793-1803 წწ.) დაკრძალა. აღნიშნულ ცნობას XIX-XX საუკუნეების მწიგნობარი მღვდლის, პოლიევქტოს კარბელაშვილის მიერ შედგენილი ნაშრომი „საქართველოს ეკლესიის მღვდელმთავართა სია 318-1819 წლამდე“ გვაწვდის: *„მცხეთის მთ.ეპისკოპოსნი: ...იოანე[,] † 1803[,] ქარუმიძე... ძე ონოფრე ბერისა, დავით გარესჯის მოღვაწისა. დაასაფლავა არსენ ტფილელმა კვირაცხოვლის ეკლესიაში“* [17, 38v].

აღნიშნულ ფაქტს საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს წმ. თომა მოციქულის ეკლესიის ისტორიისათვის. მართლაც, ამ ფაქტიდან ირკვევა, რომ ტაძარი ქართლის მთავარეპისკოპოსებისათვის მხოლოდ მეტოქი ანუ დროებითი სადგომი კი არ იყო, არამედ, საჭიროების შემთხვევაში, მათი საძვალის ანუ სამუდამო განსასვენებლის ფუნქციასაც ასრულებდა.

რუსეთის იმპერიის მიერ ქართლის საკათოლიკოსოს ავტოკეფალიის გაუქმების (1810 წ.) შემდეგ წმ. თომა მოციქულის ეკლესია, აღმოსავლეთ საქართველოს სხვა ეკლესია-მონასტრების მსგავსად, რუსეთის ეკლესიის დაქვემდებარებაში გადავიდა.

1825 წელს წმ. თომა მოციქულის ეკლესიასთან მდებარე საცხოვრებელი სახლის ადგილას, რომელიც XVIII საუკუნეში ქართლის მთავარეპისკოპოსთა რეზიდენციას წარმოადგენდა, ახალი, ორსართულიანი სახლი ააგეს და ის საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის პროკურორს გადასცეს. ამ ამბავს პლატონ იოსელიანი შემ-

---

[1] სხვათა შორის, ჩვენამდე მოაღწია იმ კონკრეტული დოკუმენტის ტექსტმაც, რომლის ძალითაც იესე ბარათაშვილმა ქაიხოსრო აბაშიძისაგან წმ. თომა მოციქულის ეკლესიის მახლობლად მდებარე „სასახლე“ ანუ სახლის ასაშენებლად განკუთვნილი მიწა შეიძინა. აქ მხედველობაში გვაქვს ქაიხოსრო აბაშიძის მიერ იესე ბარათაშვილისათვის მიცემული 1769 წლის 10 ივნისის ნასყიდობის წიგნი, სადაც ნასყიდი მიწის ადგილმდებარეობის დასაზუსტებლად მითითებულია არა „მთავარეპისკოპოსის საყდარი“ ანუ წმ. თომა მოციქულის ეკლესია, როგორც ამას იესე ბარათაშვილის „ცხოვრება-ანდერძის“ ზემოთ ციტირებულ ფრაგმენტში ვხედავთ, არამედ „მთავარეფისკოპოზის სახლი“ ანუ წმ. თომა მოციქულის ტაძართან მდებარე ქართლის მთავარეპისკოპოსთა საცხოვრებელი რეზიდენცია: *„ასე რომე ქალაქს მთავარეფისკოპოზის სახლის პირდაპირ პაპას ჩემს არაგვის ერისთავის შვილის ზურაბ ეშიკაღასბაშისაგან სასახლე ეყიდნა.....ჩემი წილი ამ სასახლის ნახევარი შენთვის მოგვიყიდია“* [16, 331].

დეგი სახით მოგვითხრობს: *"...наместе дома, въ которомъ помещался Самтаврскій или Мцхетскій архіепископъ, построенъ около 1825 года двухъ-этажный домъ для помещения прокурора Грузино-Имеретинской Синодальной конторы"* [5, 60].

1830-იან წლებში წმ. თომა მოციქულის ეკლესია კვლავინდებურად მოქმედი იყო. ამაზე, ძველი თბილისის ისტორიის შესანიშნავი მკვლევრის, მამისა ბერძნიშვილის დაკვირვებით, აშკარად მიუთითებს ის ფაქტი, რომ ტავერნიცკის მიერ შედგენილ ქალაქ თბილისის 1833-1835 წლების გეგმაზე წმ. თომა მოციქულის ეკლესია მოქმედი ტაძრის სახით იყო აღნიშნული [1, 25][1].

მამისა ბერძნიშვილის ამ დაკვირვებას მთლიანად ადასტურებს ეგნატე იოსელიანის „თბილისის ეკლესიათა აღწერა", სადაც პირდაპირ არის ნათქვამი, რომ თხზულების შედგენის დროს ანუ 1837 წელს წმ. თომა მოციქულის ეკლესია ჯერ კიდევ მოქმედი იყო და აქ ერთი მღვდელი მსახურობდა: *„ტფილისსავე შინა არის პატარა ეკკლესია წმიდისა მოციქულისა თომას სახელსა ზედა... ამას შინა არის ერთი მღუდელი"* [7, 84].

დაახლოებით, ამავე 1830-იან წლებში წმ. თომა მოციქულის ეკლესიის მდგომარეობა, მისი სიძველისა თუ შეუკეთებლობის გამო, თანდათანობით დამძიმდა, 1840 წელს კი ტაძარი იმდენად ავარიულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, რომ აქ ღმრთისმსახურება საერთოდ შეწყდა და ეკლესია დიდი ხნით დაიხურა. წმ. თომა მოციქულის ეკლესიის გაუქმების ამბავი მოკლედ აქვს გადმოცემული პლატონ იოსელიანს, რომელიც ამ მოვლენის თანამედროვე და უშუალო თვითმხილველი იყო: *„Церковь, строенная на развалинахъ древней во имя Ап. Фомы (კკრა-ცხოველი) за ветхостію запечатана съ 1840 года"* [5, 270][2].

პლატონ იოსელიანისავე ცნობით, წმ. თომას ეკლესია, გაუქმების შემდეგ, „მასზე მიწერილ" ჩუღურეთის კვირაცხოვლის ტაძართან

---

[1] მამისა ბერძნიშვილის მიერ ნახსენები ტავერნიცკის გეგმის დედანი, სავარაუდოდ, რუსეთში ინახება. რაც შეეხება ამ გეგმის ასლს, ის, მკვლევრის თქმით, „დაცულია თბილისის მუზეუმში, მაგრამ მას ექსპლიკაციები არ ახლავს" [1, 25]. სამწუხაროდ, რიგი მიზეზების გამო, ჩვენ, ჯერჯერობით, ვერ მოვახერხეთ, პირადად გვენახა ტავერნიცკის გეგმის საქართველოში დაცული ასლი ან მისი ფოტო მაინც, რის გამოც, იძულებული ვართ, მასზე საუბრისას მთლიანად მამისა ბერძნიშვილის დაკვირვებებს დავემყაროთ.

[2] პლატონ იოსელიანის ამ ცნობის მართებულობას თითქმის მთლიანად ადასტურებს მარი ბროსე, რომელიც აღნიშნავს, რომ მისი საქართველოში მოგზაურობის დროს ანუ 1847-1848 წლებში, წმ. თომა მოციქულის ეკლესია უკვე დახურული იყო [22, 18].

ერთად, ანჩისხატის ეკლესიას დაუქვემდებარეს: *„И та и другая ныне приписаны къ Анчисхатскому Собору“* [5, 59].

1860-იანი წლებისათვის წმ. თომა მოციქულის ავარიულ მდგომარეობაში მყოფი ეკლესია ჩამოქცევის რეალური საფრთხის წინაშე აღმოჩნდა და რუსეთის იმპერიის საეკლესიო მმართველობის უმაღლესმა ორგანომ, უწმიდესმა სინოდმა ტაძრის დემონტაჟის გადაწყვეტილება მიიღო. აღნიშნული დადგენილება სინოდმა 1863 წლის 10 აგვისტოს გამოიტანა. ამ გადაწყვეტილების თანახმად, წმ. თომა მოციქულის ეკლესიის დაშლის შემდეგ მისი წმიდა ტრაპეზის ადგილას ან ნიში უნდა აეგოთ ან კიდევ, ჯვარი უნდა აღემართათ. გარდა ამისა, უნდა მოეწესრიგებინათ ეკლესიის ეზოც. სინოდის ამ გადაწყვეტილების შესახებ მოკლედ გვაუწყებს გაზეთ „დროების“ 1884 წლის 27 ნოემბრის ნომერში დაბეჭდილი ერთი ხელმოუწერელი სტატია: *„უწმიდესი სინოდის უქაზით 1863 წ. აგვისტოს 10-დამ, ეკლესია... უნდა დაშლილიყო, მაგრამ ტრაპეზის ადგილზედ ან ნიში (часовня) უნდა აშენებულიყო, ან ჯვარი დადგმულიყო და წმიდად შენახულიყო სრულიად ეკლესიის ეზო“* [18, 1].

სინოდის ამ გადაწყვეტილებამ მაშინდელ ქართულ საზოგადოებაში, როგორც ჩანს, აშკარა უკმაყოფილება გამოიწვია. ამ უკმაყოფილების ერთ-ერთ გამოხატულებას წარმოადგენდა პლატონ იოსელიანის მიერ 1866 წელს გამოქვეყნებული, ზემოთ უკვე ნახსენები წიგნი „Описаніе древностей города Тифлиса“, რომელიც სინოდის მიერ წმ. თომა მოციქულის ეკლესიის დემონტაჟის გადაწყვეტილების მიღებიდან (1863 წლის 10 აგვისტო), სულ რაღაც, თოთხმეტი-თხუთმეტი თვის შემდეგ იყო დასაბეჭდად გადაცემული (1864 წლის 1 დეკემბერი) [5, 1]. წიგნში ავტორი საზოგადოებას, სინოდის დადგენილების საპირისპიროდ, განადგურების პირას მდგომი წმ. თომა მოციქულის ეკლესიის აღდგენა-განახლების იდეას სთავაზობდა. ამასთან, პლატონ იოსელიანი საგანგებოდ იხსენებდა რუსული მმართველობის გარკვეულ წრეებში არსებულ ერთ-ერთ პროექტს, რომელიც წმ. თომა მოციქულის ეკლესიასთან მდებარე ორსართულიანი საცხოვრებელი სახლის გადაკეთება-განახლებასა და ამ სახლის მაღალი რანგის საეკლესიო მოხელის, საქართველოს ეგზარქოსის ვიკარისათვის გადაცემას ითვალისწინებდა. ავტორის აზრით, ამ პროექტის დახმარებით, წმ. თომა მოციქულის ეკლესია დანგრევა-დემონტაჟს გადარჩებოდა და შთამომავლობას წინაპართაგან ნამოღვაწარ-ნაჭირნახულევი ტაძარი აღარ დაეკარგებოდა: *„Нине церковь эта угрожаетъ паденіемъ, а наместе дома, въ которомъ помещался Самтаврскій или Мцхетскій архіепископъ, построенъ около 1825 года двухъ-этажный домъ для*

*помещения прокурора Грузино-Имеретинской Синодальной конторы. Думали, кажется, исправить этотъ домъ для помещенія Викарія Грузинскаго. Можетъ быть и самая церковь получитъ новый видъ подъ своимъ же именемъ, чтобъ сохранить для потомства заветную святыню древнихъ, бурныхъ для края вековъ и воскресить память техъ святителей, которые такъ крепко стояли на страже православія, и такъ крепко охраняли его заветныя святыни"* [5, 60-61].

სამწუხაროდ, რუსეთის იმპერიის საეკლესიო მმართველობის უმაღლესმა წრეებმა პლატონ იოსელიანის მოწოდებას დუმილით უპასუხეს და სინოდის 1863 წლის 10 აგვისტოს დადგენილება ძალაში დატოვეს. მიუხედავად ამისა, სინოდის გადაწყვეტილების აღსრულება, ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო, დიდი ხნით გადაიდო და წმ. თომა მოციქულის ეკლესიის დემონტაჟის პრაქტიკული სამუშაოები მხოლოდ 1875/1876-1884 წლებში განხორციელდა.

ამ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ჩამოქცევის პირას მყოფი ტაძრის ავარიული მდგომარეობითა და ადგილობრივი მოსახლეობის უსაფრთხოებით შეშფოთებული თბილისის საქალაქო ადმინისტრაცია წმ. თომა მოციქულის ეკლესიის დაშლას დაჟინებით მოითხოვდა და ამ მიზნით, საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორასთან ინტენსიურ მიმოწერას აწარმოებდა. საბოლოოდ, სინოდმა, სავარაუდოდ, სინოდალური კანტორის შუამდგომლობის საფუძველზე, ტაძრის დემონტაჟისათვის აუცილებელი სამუშაოების ხარჯთაღიცხვა დაამტკიცა და ამ სამუშაოების ჩატარება სინოდალური კანტორის ერთ-ერთ თანამშრომელს, ივანე სიმონოვს დაავალა, რომელიც, სხვა თანამოსამსახურეებთან ერთად, სწორედ წმ. თომა მოციქულის ეკლესიასთან მდებარე ორსართულიან სახლში ცხოვრობდა. ივანე სიმონოვმა სინოდის დავალება ჩინოვნიკისათვის დამახასიათებელი პედანტურობით აღასრულა და 1875/1876-1884 წლებში წმ. თომა მოციქულის ეკლესია საძირკვლამდე დაშალა[1].

---

[1] წმ. თომა მოციქულის ეკლესიის დემონტაჟის ფაქტის 1875/1876-1884 წლებით დათარიღებისას ორ კონკრეტულ ქრონოლოგიურ მონაცემს ვემყარებით: 1. გაზეთი „დროების" 1884 წლის 27 ნოემბრის ნომერში დაბეჭდილ ხელმოუწერელ სტატიაში აღნიშნულია, რომ წმ. თომა მოციქულის ეკლესიის დემონტაჟი („დაქცევა") სინოდის მიერ 1863 წლის 10 აგვისტოს გადაწყვეტილების მიღებიდან თორმეტი-ცამეტი წლის შემდეგ ანუ 1875/1876 (1863+12=1875 წ. / 1863+13=1876 წ.) წლების შემდგომ პერიოდში განხორციელდა; 2. გაზეთი „Кавказъ"ის 1884 წლის 8 ნოემბრის ნომერში დაბეჭდილი ივანე სიმონოვის წერილიდან ჩანს, რომ ხსენებული წერილის დაბეჭდვის დროისათვის ანუ 1884 წლის ნოემბრის თვეში წმ. თომა მოციქულის ეკლესია უკვე დაშლილი იყო.

ტაძრის დაშლა-დემონტაჟის ამბები მეტნაკლები სისრულითაა გადმოცემული ორ საგაზეთო პუბლიკაციაში: 1. თავად ივანე სიმონოვის სტატიაში, რომელიც 1884 წელს გაზეთ „Кавказъ"-ის 8 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნდა; და 2. ერთ ხელმოუწერელ სტატიაში, რომელიც ივანე სიმონოვის პუბლიკაციის საპასუხოდ, გაზეთ „დროების" 1884 წლის 27 ნოემბრის ნომერში დაიბეჭდა.

გაზეთი „Кавказъ": *„Въ доме, где была церковь, въ числе другихъ живу и я... Деиствительно, мне было поручено разобратъ по ветхости и совершенной негодности церковное зданіе, о которомъ несколько летъ шла переписка съ Тифлисскимъ губернаторомъ, настаивавшимъ разобратъ его въ предупрежденіе несчастія. Составленная по этому поводу смета на разборъ зданія была утверждена святейшимъ синодомъ"* [19, 3].

გაზეთი „დროება": *„უწმიდესი სინოდის უქაზით 1863 წ. აგვისტოს 10-დამ, ეკლესია... უნდა დაშლილიყო... ამ უკაზის შემდეგ გავიდა თითქმის თორმეტ-ცამეტი წელიწადი და ეკლესია არ იქცეოდა. შემდეგ დაიქცა ეკლესია..."* [18, 1].

წმ. თომა მოციქულის ეკლესიის დაშლა-დემონტაჟის მიუხედავად, ადგილობრივი მოსახლეობა, ძველი ტრადიციის გავლენით, ნატაძრალზე სალოცავად მისვლას კვლავინდებურად აგრძელებდა, ყოველ შაბათ საღამოს ეკლესიის გალავანთან იკრიბებოდა და ვინაიდან ეზოში შესასვლელი მუდამ დაკეტილი ხვდებოდა, ანთებულ სანთლებს პირდაპირ ალაყაფის კარზე აკრავდა. თბილისის მოსახლეობის მიერ წმ. თომა მოციქულის ნაეკლესიარის თაყვანისცემის ამბავი, პრაქტიკულად, ერთი და იმავე სახით არის გადმოცემული გაზეთ „დროების" 1884 წლის 1 და 27 ნოემბრის ნომრებში გამოქვეყნებულ ორ ხელმოუწერელ სტატიაში: *„ხალხი... დღესაც შაბათ-საღამოობით ანთებს სანთელს ეკლესიის გალავნის ქუჩის დაკეტილ კარებში, რომელიც ისეა გამურული სანთლის ალისაგან, გეგონებათ ძველი დარბაზის ერდოაო"* [20, 3]; *"...დღესაც აუარებელი მლოცველნი მიდიან ყოველ შაბათობით და გალავნის ყრუ კარებზე ანთებენ წმიდა სანთელს და ფულსაც სწირვენ"* [18, 1].

თბილისის მოსახლეობის ამგვარი განწყობილების მიუხედავად, წმ. თომა მოციქულის ეკლესიის დაშლას, საზოგადოების მხრიდან, რაიმე დიდი წინააღმდეგობა, სავარაუდოდ, არ შეხვედრია. ასეთმა ვითარებამ ნატაძრალთან მდებარე სახლში მცხოვრებ ივანე სიმონოვს, როგორც ჩანს, დაუსჯელობის გრძნობა გაუჩინა და მან დაშლილი ეკლესიის ეზოში პირუტყვის სადგომი ფიცრული ნაგებობა ააშენა. ამ ამბავმა ქართული საზოგადოების მოთმინების ფიალა საბოლოოდ

აავსო და გაზეთ „დროების“ 1884 წლის 1 ნოემბრის ნომერში ხელმოუწერელი სტატია გამოქვეყნდა, რომლის ავტორიც ივანე სიმონოვის („ბ. ს-ს“) საქციელის გამო უკიდურეს აღშფოთებას გამოხატავდა. ანონიმი ავტორი თვლიდა, რომ რუსი მოხელე, მის მიერ დაშლილი ტაძრის ნანგრევებზე თავლის აშენებით, ქართული ისტორიული სიძველეებისადმი აშკარა უპატივცემულობას გამოხატავდა და თბილისის მოსახლეობის რელიგიურ გრძნობებსა თუ საეკლესიო ტრადიციებს აბუჩად იგდებდა: *„ანჩის-ხატის ტაძრის ახლო იყო ერთი ეკლესია კვირა-ცხოვლისა. ეს ეკლესია ძველად შეადგენდა მცხეთის სამთავროს მთავარ-ეპისკოპოსების სამეტოქო ეკლესიას. დღეს ამ ეკლესიის სახლებში სამი თუ ოთხი სინოდალურის კანტორის ჩინოვნიკი სცხოვრობს. ამათგან ბ. ს-მა ინება დანგრევა ეკლესიისა და იმ ადგილზედ ააშენა თავლა. ხალხი კი დღესაც შაბათ-საღამოობით ანთებს სანთელს ეკლესიის გალავნის ქუჩის დაკეტილ კარებში, რომელიც ისეა გამურული სანთლის ალისაგან, გეგონებათ ძველი დარბაზის ერდოაო: ამ ფაქტს განმარტება არ ეჭირვება“* [20, 3].

გაზეთ „დროების“ 1884 წლის 1 ნოემბრის ნომერში დაბეჭდილმა ამ სტატიამ, როგორც ჩანს, დიდი ინტერესი გამოიწვია და ამიტომ მისი ტექსტის რუსული თარგმანი გაზეთ „Кавказъ“-ის 1884 წლის 3 ნოემბრის ნომერშიც გამოქვეყნდა. საგულისხმოა, რომ წერილის რუსულენოვან თარგმანში ტექსტის დასაწყისი ნაწილი არსებითად შეცვლილი თუ დამახინჯებული იყო. კერძოდ, „დროებაში“ გამოქვეყნებულ წერილში ნათქვამი იყო, რომ წმ. თომა მოციქულის ეკლესია ძველად ქართლის („მცხეთის სამთავროს“) მთავარეპისკოპოსების მეტოქს წარმოადგენდა, ხოლო „Кавказъ“-ში გადაბეჭდილი ამავე ფრაგმენტის რუსულენოვან თარგმანში აღნიშნული იყო, რომ წმ. თომა მოციქულის ტაძარი „ქართლის მთავარეპისკოპოსების დროს“ (?), მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრის („Мцхетскаго собора“) შემდეგ, მნიშვნელობით, მეორე ეკლესიად ითვლებოდა: *„Въ газете „Дроэба“ читаемъ: Близъ Анчисхатскаго храма была одна церковь, которая считалась второю после Мцхетскаго собора во времена грузинскихъ архіепископовъ. Теперь въ домахъ, пренадлежавшихъ этой церкви, живутъ три или четыре чиновника синодальной канторы. изъ нихъ некто г. С. изволилъ разрушить церковь (?) и построить на томъ месте конюшню. Народже, по привычке, и теперь продолжаетъ ходитъ по субботамъ къ ограде храма и ставитъ свечки у запертыхъ дверей ея. Этотъ фактъ, говоритъ газета, не требуетъ комментарій. Интересно было-бы знатъ: неужели все это правда?“* [21, 1].

გაზეთ „დროებაში“ დაბეჭდილი სტატიის ამ დამახინჯებული რუსული თარგმანის გამოქვეყნების შემდეგ ივანე სიმონოვმა გაზეთ „Кавказъ“-ის რედაქტორს წერილობით მიმართა და გაზეთის რომელიმე მომდევნო ნომერში მისი საპასუხო წერილის გამოქვეყნება სთხოვა. აქ განმარტებული იქნებოდა „დროებიდან“ გადმობეჭდილ სტატიაში წამოჭრილი ყველა სადავო თუ ბუნდოვანი საკითხი. „Кавказъ“-ის რედაქტორმა თხოვნა დააკმაყოფილა და ივანე სიმონოვის წერილი გაზეთის 1884 წლის 8 ნოემბრის ნომერში გამოაქვეყნა.

სტატიის ავტორი, პირველ რიგში, „დროებაში“ დაბეჭდილი სტატიის, უფრო ზუსტად კი, ამ სტატიის „Кавказъ“-ში დამახინჯებული სახით გადაბეჭდილი რუსული თარგმანის იმ ნაწილზე ამახვილებდა ყურადღება, სადაც წმ. თომა მოციქულის ეკლესია, თავისი მნიშვნელობით, მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრის შემდეგ, საქართველოში, მეორე ეკლესიად იყო გამოცხადებული. ამის შემდეგ ივანე სიმონოვი მკითხველს მოკლედ მოუთხრობდა წმ. თომა მოციქულის ეკლესიის დემონტაჟის საკითხის ისტორიას, რომელიც ზემოთ, ერთხელ უკვე გვქონდა ციტირებული. კიდევ უფრო ქვემოთ ავტორი ხაზგასმით აღნიშნავდა იმ ფაქტს, რომ არც მას და არც მის სხვა თანამოსამსახურეებს, რომლებიც მასთან ერთად ცხოვრობენ ნატაძრალთან მდებარე სახლში, ცხენები არ ჰყავდათ და შესაბამისად, თავლის აგება საერთოდ არ სჭირდებოდათ. სულ ბოლოს, ივანე სიმონოვი გაკვრით ეხებოდა წმ. თომა მოციქულის ნაეკლესიარის მდგომარეობას და იუწყებოდა, რომ ამ ადგილას ღობით მოზღუდული ბაღი იყო გაშენებული და იქ არანაირი შენობა არ იდგა: *„М. г. г. редакторъ! Не откажите напечатать въ редактируемой вами газете настоящее мое письмо, въ опровержение известия, перепечатаннаго вами изъ газеты „Дроэба“ въ №246 „Кавказа“. Авторъ известя, говоря о разрушенной близъ Анчисхатскаго собора церкви, говоритъ, что „изъ числа трехъ или четырехъ чиновниковъ синодальной конторы, живущихъ въ церковномъ доме, некто г. С. изволилъ разрушить церковь, которая считалась второю после Мцхетскаго собора, и построить конюшню“. „Въ доме, где была церковь, въ числе другихъ живу и я, фамилія моя начинается съ буквы С. Деиствительно, мне было поручено разобратъ по ветхости и совершенной негодности церковное зданіе, о которомъ несколько летъ шла переписка съ Тифлисскимъ губернаторомъ, настаивавшимъ разобратъ его въ предупрежденіе несчастія. Составленная по этому поводу смета на разборъ зданія была утверждена святейшимъ синодомъ. Что-же касается устройства конюшни, то для меня страннымъ кажется, для*

*кого понадобиласъ-бы подобная постройка, такъ-какъ у чиновниковъ синодальной конторы вообще не имеется лошадей, следовательно, и конюшня совершенно не нужна. Место-же, где была церковь, огорожено и на немъ разводится садикъ, содержащійся довольно опрятно и никакого строенія тамъ нетъ. Иванъ Симоновъ"* [19, 3].

ივანე სიმონოვის საპასუხო წერილმა ქართული საზოგადოება უფრო მეტად გააღიზიანა. ამ გაღიზიანების თვალსაჩინო გამოხატულებას წარმოადგენდა იმავე გაზეთ „დროების" 1884 წლის 27 ნოემბრის ნომერში დაბეჭდილი საკმაოდ ვრცელი ხელმოუწერელი სტატია, სადაც კიდევ უფრო მკაცრად იყო გაკრიტიკებული ივანე სიმონოვი.

სტატიის პირველ ნაწილში ავტორი მოკლედ მიმოიხილავდა „დროებასა" და „Кавказъ"-ში გამოქვეყნებულ სტატიებს. ამის შემდეგ ავტორი ხაზგასმით აღნიშნავდა იმ ფაქტს, რომ იგი საგანგებოდ ეწვია წმ. თომა მოციქულის ნაეკლესიარს და საკუთარი თვალით კიდევ ერთხელ ნახა იქ არსებული სურათი. ავტორის თქმით, დაშლილი ტაძრის ადგილას, უშუალოდ ნაეკლესიარზე, გალავანთან მიჯრით, ფიცრული ნაგებობა იყო აშენებული, სადაც ივანე სიმონოვს გარკვეული დროის წინ მეწველი ძროხა ჰყავდა დაბმული. რაც შეეხება ივანე სიმონოვის მიერ ნახსენებ, ვითომდა ნატაძრალზე გაშენებულ ბაღს, ავტორის თქმით, იქ ბაღის ხსენებაც კი არ იყო. კიდევ უფრო ქვემოთ სტატიის ავტორი ყურადღებას ამახვილებდა სინოდის მიერ მიღებული 1863 წლის 10 აგვისტოს დადგენილების იმ ნაწილზე, რომლის თანახმადაც წმ. თომა მოციქულის ეკლესიის დემონტაჟის შემდეგ მისი ტრაპეზის ადგილას ან ნიში უნდა აეგოთ ან კიდევ, ჯვარი უნდა აღემართათ. ავტორის თქმით, დადგენილების ეს ნაწილი დარღვეული იყო და თბილისის მოსახლეობას სრული უფლება ჰქონდა, კანონით მოეთხოვა წმ. თომა მოციქულის ნაეკლესიარზე ნიშის აგებისა და იქ ხატის დაბრძანების უფლება. დასასრულ, ავტორი შენიშნავდა იმასაც, რომ ნატაძრალს მრავალი მომლოცველი ჰყავდა და წმ. თომა მოციქულის ეკლესიის ადგილას სალოცავი ნიშის აგება, საჭიროების შემთხვევაში, თბილისის მოსახლეობის შემოწირულობითაც კი მოხერხდებოდა: *„ჩვენი გაზეთის მე-236 №-ში დაბეჭდილი იყო პატარა შენიშნვა ანჩის-ხატის მახლობლად დაქცეულ კვირაცხოვლის საყდრის გამო; შენიშნვაში მოხსენებული იყო, რომ ეს ეკლესია იყო მეტოქი მცხეთის მთავარეპისკოპოსის ეკლესიისა ძველადგანვე; სინოდალური კანტორის ჩინოვნიკმა ს-მა ინებაო დანგრევა ეკლესიისა და იმ ადგილზედ ააშენა თავლაო, მაგრამ ხალხი კი დღესაც ლოცულობს და სანთელს ანთებს დაკეტილს ქუჩის კარებზედაო. ამ შენიშნვამ გამო-*

*იწვია ბ-ნის ს-საგან „კავკაზის“, მე-250 №-ში გულის მღელვარებისაგამო სიცრუით სავსე პასუხი. ბ. ს-ი ვითომ გვამტყუნებს და რაც ჩვენ არ გვითქვამს, მის თქმასა გვწამებს, მერმე აღიარებს თავს ნახევრად დანაშაულად და თან თავს იმართლებს[.] ს., – მე მომანდეს დანგრევა იმ დაძველებული, უვარგისი (!) ეკლესიის შენობისაო, რაზედაც რამდენსამე წელს მინერ-მოწერა გამართული იყო თბ. გუბერნატორისაგან, რომ უბედურება არა მოხდეს-რაო. თავლის აშენება კი მიკვირს – ვისთვის იქნებოდა საჭირო, რომ ჩვენ ცხენები არა გვყავსო. ნასაყდრალი ალაგი შემოზღუდულია და მასზედ შენდება ბაღი, რომელიც სუფთად ინახებაო და იქ არავითარი შენობა არ არისო“. ჩვენ თვით მივედით ნასაყდრალ ადგილზედ და ჩვენის თვალით ერთხელ-კიდე ვნახეთ: საკუთრად ეკლესიის ნაალაგევზე, გალავანზე მიშენებულია ფიცრული: თავლა, ბოსელი, გომი, საქონლის საბმელი, (რაც გნებავთ დაარქვით), სადაც ბ. ს-ეს ჰბმია მეწველი ძროხა. საკუთრად ნასაყდრალზე ბაღის ხსენება არც კი არის. გალავანი ძველივეა. უწმიდესი სინოდის უქაზით1863 წ. აგვისტოს 10-დამ, ეკლესია მართალია უნდა დაშლილიყო, მაგრამ ტრაპეზის ადგილზედ ან ნიში (часовня) უნდა აშენებულიყო, ან ჯვარი დადგმულიყო და წმიდად შენახულიყო სრულიად ეკლესიის ეზო. ამ უკაზის შემდეგ გავიდა თითქმის თორმეტცამეტი წელიწადი და ეკლესია არ იქცეოდა. შემდეგ დაიქცა ეკლესია და მის ადგილზედ ძროხის დასაბმელი ფიცრული თავლა აიშენა!... უკაზის ძალით შეგვიძლიან მოვითხოვოთ, რომ ხსენებულს ნასაყდრალზე აგებულ იქმნას ნიში ხატის დასასვენებლად, მით უფრო, რომ საშუალებაც ადვილი მოსაპოვებელია, რადგან დღესაც აუარებელი მლოცველნი მიდიან ყოველ შაბათობით და გალავნის ყრუ კარებზე ანთებენ წმიდა სანთელს და ფულსაც სწირვენ“* [18, 1].

სამწუხაროდ, შესაბამისი მასალების უქონლობის გამო, ჩვენთვის უცნობია, კონკრეტულად, როგორ განვითარდა შემდგომი პერიოდის მოვლენები, განხორციელდა თუ არა გაზეთ „დროებაში“ დაბეჭდილი სტატიის ანონიმი ავტორის იდეა და მოახერხა თუ არა თბილისის მოსახლეობამ ნატაძრალზე წმ. თომა მოციქულის ხატის დასაბრძანებელი ნიშის აგება. სამაგიეროდ, ზუსტად ვიცით, რომ რუსეთის საეკლესიო მმართველობის უმაღლესი ორგანოს, სინოდის მიერ 1863 წლის 10 აგვისტოს მიღებული დადგენილების საფუძველზე, საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის თანამშრომლის ივანე სიმონოვის მიერ 1875/1876-1884 წლებში საძირკვლამდე დაშლილი წმ. თომა მოციქულის (კვირაცხოვლის) ეკლესია აღარ აღუდგენიათ და ძველი თბილისის ამ ერთი საინტერესო ტაძრის ნანგრევები დღემდე მიწით არის დაფარული.

## დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:


1. მამისა ბერძნიშვილი, თბილისის გარეგანი სახე XVIII საუკუნეში (ქართული დოკუმენტური მასალის მიხედვით), გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 1965.
2. კვირაცხოვლის წმინდა თომას ეკლესია, წგნ.: თბილისი, ენციკლოპედია, საწარმოო-საგამომცემლო გაერთიანება „მეცნიერება", თბილისი, 2002.
3. ავლევის ქუჩა, წგნ.: თბილისი, ენციკლოპედია, საწარმოო-საგამომცემლო გაერთიანება „მეცნიერება", თბილისი, 2002.
4. მაია მანია. ავლევის შესახვევის ძველი სახლი და მისი მიკროუბანი, ჟურნ.: საქართველოს სიძველენი, 14, [გამომცემლობა მითითებული არ არის], თბილისი, 2010.
5. Платон Іосселіани, Описаніе древностей города Тифлиса, Типографія Главнаго Управленія Наместника Кавказскаго, Тифлисъ, 1866.
6. კარლო ტაბატაძე, ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ XIV-XV საუკუნეთა მიჯნაზე, წგნ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი III, საქართველო XI-XV საუკუნეებში, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო", თბილისი, 1979.
7. ლეონ მელიქსეთ-ბეგი, მასალები ტფილისისა და „სომხითის" სიძველეთა ისტორიისათვის, კრებ.: ჩვენი მეცნიერება, I, ს.მ.უ.ს. პოლიგრგანყოფილების 3-მე სტამბა, ტფილისი, 1923.
8. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექცია, ტომი IV, შედგენილია და დასაბეჭდად დამზადებული თამარ ბრეგაძის, ლია კიკნაძის, მიხეილ ქავთარიას, ლამარა ქაჯაიას, მზექალა შანიძის, ქრისტინე შარაშიძის და ცაცა ჭანკიევის მიერ, ელენე მეტრეველის საერთო რედაქციით, გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 1965.
9. ცაცა ჭანკიევი, ეგნატე იოსელიანის ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის, კრებ.: ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, V, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1963.
10. კარიჭაშვილი, წგნ.: თბილისი, ენციკლოპედია, საწარმოო-საგამომცემლო გაერთიანება „მეცნიერება", თბილისი, 2002.

11. კატალოგი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნთ-საცავისა, შედგენილი დავით კარიჭაშვილის მიერ, მსწრ.-მბეჭ. ა. ქუთათელაძისა, ტფილისი, 1905.
12. გურამ ჯანდიერი, XVII საუკუნის აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული ქრონოლოგიის საკითხისათვის (ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი), კრებ.: მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, I, გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 1971.
13. თეიმურაზ ბერიძე, ძველი თბილისის გარეუბნების ისტორია, გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 1977.
14. თეიმურაზ ბერიძე, ...და აღმოცენდა თბილისი, გამომცემლობა „ნაკადული", თბილისი, 1977.
15. იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი, ტექსტი გამოსცა შესავლით, შენიშვნებით, ლექსიკონითა და საძიებელებით ავთანდილ იოსელიანმა, კრებ.: მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი 28, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1950.
16. დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის (XVI-XIX სს.), წიგნი პირველი, შეადგინეს: ნიკო ბერძენიშვილმა და მამისა ბერძნიშვილმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1962.
17. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1461 (პოლიევქტოს კარბელაშვილის პირადი ფონდი), საქმე 17.
18. შინაური ქრონიკა, გაზ.: „დროება", 27 ნოემბერი, №255, სტამბა არ. კალანდაძისა და ამხანაგობისა, თბილისი, 1884.
19. Иванъ Симоновъ, Письмо къ редактору, газ.: „Кавказъ", 8 ноября, №250, Типографія Канцеляріи Главноначальствующаго гражданской частю на Кавказе, Тифлисъ, 1884.
20. შინაური ქრონიკა, გაზ.: „დროება", 1 ნოემბერი, №236, სტამბა არ. კალანდაძისა და ამხანაგობისა, თბილისი, 1884.
21. Хроника, газ.: „Кавказъ", 3 ноября, №246, Типографія Канцеляріи Главноначальствующаго гражданской частю на Кавказе, Тифлисъ, 1884.
22. Marie Brosset, Cinquieme rapport, in: Rapports sur un Voyage Archéologique dans la Géorgie et dans l'Arménie, exécute en 1847-1748 par Marie Brosset, membre de l'Académie Impériale des Sciences, 2e livraison, avec un Atlas de 16 planches lithographiées, Imprimerie de l'Académie Impériale des Sciences, St.-Pétersbourg, 1853.

**Temo Jojua**
*Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology; National Center of Manuscripts*

## Church of St. Thomas the Disciple (Kviratskhoveli) in Tbilisi (Kala) (The location of the church and its history)

### Summary

1. Georgian scientists (Mamisa Berdznishvili, Teimuraz Beridze) have already established that the Church of St. Thomas the Disciple (Kviratskhoveli) was located in one of the central parts of old Tbilisi, on the territory of historical Kala, so called Zemo Ubani (upper district), nearby the wall enclosing the town and supporting it from the North, on the street Kviratskhoveli that was named after the church erected here.

The location of the church is more precisely given in the work. On the basis of Tbilisi map made in 1800 by the Russian empire captain Chuiko it is stated that the church of St. Thomas the Disciple was erected nearly in that very place where now there is a garden of the daycare centre № 191 (Ilia and Nino Nakashidzes' street №26). Here, in the North part of the daycare centre garden there are some three meters remained fragments of a wall built with bricks and cobble-stones (Our article was already finished, when we read Maia Mania's article published in 2010, where the author expresses the same opinion about the location of St. Thomas the Disciple's church).

2. As far as it was possible the various written materials about the church of St. Thomas the Disciple are gathered completely. These materials are analyzed from the point of view of historical and source studies and different stages of the given church existence and history are established (One part of the written analyzed material is known from the works of Egnate Ioseliani, Platon Ioseliani, Mamisa Berdznishvili, Teimuraz Beridze, Maia Mania and the other part is brought in scientific circulation by us).

When the church of St. Thomas the Disciple was built and in which historical situation is unknown. We know only that the church was already existed in the II half of the 14th century and was destroyed by Mongol military leader Timur when he captured and ravaged Tbilisi in 1386. In 1703 on the remains of the old church archbishop of Kartli Kristepore Amilakhvari built a new, small stone church without dome and established it as a town residence of Kartli archbishops, as a place for short term residence. In 1803 metropolitan of Tbilisi Arsen Bagrationi buried Ioane Karumidze, archbishop of Kartli and

Tsilkani, in the church of St. Thomas the Disciple. In the 1830es, because of being old or because it had not underwent the restoration, the situation of the church of St. Thomas the Disciple became worse and in 1840 the church was in such an emergency condition that the service was stopped and the church was closed forever. For the 1860es the church of St. Thomas the Disciple was facing the real coming down. The supreme organ of the Russian empire church government Holy Synod in August, 10, 1863 decided to demount the church. The Georgian society was dissatisfied with the decision of the Synod. The specialist of antiquities, Platon Ioseliani propounded to carry on works for restoring the church of St. Thomas the Disciple and preserve one of the oldest churches of Tbilisi for the future generation. Unfortunately, Synod did not changed its decision and in 1875/1876 – 1884 Ivane Simonov, the stuff member of Georgia – Imereti Synodic Office demounted the church of St. Thomas the Disciple to foundation. Georgian society perceived the fact of demounting of the church as a humiliation of religious and national dignity. In 1884 in the newspapers „Droeba" and „Kavkaz" even some articles protesting demounting of the church was published, but without result. The ruins of the church of St. Thomas the Disciple gradually was covered with ground.